სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მოსაკრებლისგან გათავისუფლების პროგრამა

მუხლი 1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული) სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მოსაკრებლისგან გათავისუფლება.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანა

პროგრამის ამოცანაა სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის "ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 26 თებერვლის №68 დადგენილებით დამტკიცებული დასუფთავების მოსაკრებლის ღირებულებისგან გათავისუფლება.

მუხლი 3. სამიზნე ჯგუფი და პროგრამით მოსარგებლეთა შერჩევის წესი

1.პროგრამის მოსარგებლე ჯგუფს წარმოადგენს ქალაქ რუსთავში მცხოვრები ოჯახები, რომლებიც ქალაქ რუსთავში რეგისტრირებულნი არიან განცხადებით მომართვამდე არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში უწყვეტად (წყვეტის შემთხვევაში რეგისტრაცია არ უნდა ფიქსირდებოდეს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებს გარეთ) და რომლებიც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული არიან და მათი რომელთა სარეიტინგო ქულა 57 000-ს არ აჭარბებს.

2.მოსარგებლე პირთა შესაბამისობას განსაზღვრავს ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ მოწოდებული ბაზების საფუძველზე.

3.გამონაკლისი ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ საცხოვრებელი ადგილის რეგისტრაციასთან დაკავშირებით ვრცელდება იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსის მქონე პირებზე, რომელთაც დევნილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის მიხედვით, რეგისტრირებულ მისამართად უფიქსირდებათ - ქალაქი რუსთავი.

მუხლი 4. პროგრამის განხორციელების პერიოდი

პროგრამის განხორციელების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 5. პროგრამის შედეგი

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში მცხოვრები (რეგისტრირებული), სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 0-დან 57 000-მდე სარეიტინგო ქულის მქონე მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანის მოსაკრებლისგან გათავისუფლება.

მუხლი 6. პროგრამის შემდგენი და მის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სამსახური

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახური.

ნინო ქვირია

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის
პირველადი სტრუქტურული ერთეულის
ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური
მომსახურების სამსახურის ხელმძღვანელი